**სპეციალურად პრეზენტაცია-კონცერტისათვის მოწვეული სტუმრები:**



- **თეოდოსი სპასოვი** — ბულგარელი კავალის ნამდვილი ოსტატი. იგი ცნობილი "რივერდანსის" ვარსკვლავური შემადგენლობის წევრი იყო;



- **ილიას მირზაევი** — თანამედროვე თურქული მუსიკის წამყვანი კომპოზიტორი, რომელსაც ასევე ეკუთვნის ამ პროექტის ყველა მუსიკალური ნაწარმოების არანჟირება; მას ერთობლივი პროექტები აქვს: ქ. პენდერეცკისთან, ჯ. ზავინულთან, გ. მუსტაფაზადესთან, ქ. იარვესთან და სხვებთან;



- **დანიელ მესინა** — ცნობილი არგენტინელი "დრამერი", ლათინური სტილის უბადლო შემსრულებელი.

**მუსიკოს შემსრულებლები:**

- თბილისის სიმფონიურ ორკესტრი. დირიჟორი ვახტანგ კახიძე;
- საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით;
- თბილისის კონსერვატორიის ვოკალური სექსტეტი.

**რეჟისორი:** დავით დოიაშვილი
**ხმის რეჟისორი:** აჰიმ ჰუბერი (გერმანია)
**სასცენო დეკორაცია:** ვანო ჭელიძე
**კოსტიუმების მხატვარი:** ირა შარაშიძე (სამოსელი პირველი)
**ქორეოგრაფი:** ალექსანდრა ევტიმოვა (მაკედონია)


PP 2206
n 32/802
ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრავო რეკორდს BRAVO RECORDS
bravorecords.ge
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA


**ჯგუფ "შინ"-ის CD ალბომის შეძენა შესაძლებელიათ 26 მაისიდან "ბრავო რექორდს"-ის სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში:**

ბიბლუსის მაღაზიათა ქსელი, ლიტერატურული კაფეები, მაღაზია გურუ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მაღაზიები, პრესის ჯიხურები, რუსთაველის გამზირზე არსებული სუვენირების მაღაზიები, წიგნის სახლი ბახტრიონზე, DVD სამყარო (მის: ვაჟა-ფშაველას 18), მაღაზიათა ქსელი პარნასი, რუსთაველისა და ამირანის კინოთეატრები და ა.შ.)

bravorecords.ge




# ჯგუფი "შინ"-ის ახალი ალბომი "არაჩვეულებრივი გამოფენა"

# პროგრამა

ვარგია და კეთილ, ვისაუბროთ ტრადიციაზე, რესპექტზე და მხოლოდ აქედან გამომდინარე მომავალზე. რამეთუ პირველნი გვახსენებენ თუ საიდან მოვდივართ, ხოლო მეორე კი გვიჩვენებს თუ სად ვიქნებით ხვალ…

მაშ ასე, ჩვენ ვართ დიდი მუსიკალური პორტრეტების არაჩვეულებრივ გამოფენაზე!

პორტრეტი პირველი: გია ყანჩელი

უჩვეულოა მართლაც ეს გამოფენა!

ერთის მხრივ ეს თითქოს გამოფენაა მუსიკის, ამავ დროს თითქოს ფილმია მუსიკაზე. არადა სინამდვილეში უბრალოდ მუსიკაა მაესტროს მუსიკაზე! ხოლო ურთიერთობა მასთან, როგორც შეუმდგარი საუბარი მამასთან, რომელიც გვერდზე არ გყავს. და ის მაინც ყოველთვის შენთანაა. ეხლაც კი, აქ ჩვენ შორის! ჩვენ მოწვეულნი ვართ ტრაპეზზე, მუსიკის ტრაპეზზე. სუფრა გაშლილია — აქ, თბილისის პატარა ეზოში, რომელშიც თავისუფლად ეტევა მთელი სამყარო. ამიტომაც ნუ გაგაკვირვებთ სტუმრებს შორის მაილს დევისის, მაიკ სტერნის, ხოაკინ როდრიგოს, ჯონ მაკლაფლინის, რაჯ კაპურის და სხვათა შეხვედრა — ოსტატის მუსიკა აერთიანებს დროებს, სამყაროებს. მაშ ასე, ყოველივე მზად არის — ძველი, კეთილი ქართული ღვინო და ღირსეული თამადა მხოლოდ ელოდებიან დასაწყისს…

ჯგუფი "შინ"




1. **შესავალი "კარლენ"** — აღმოსავლური ჰანგის ოსტატის, თბილისელი მესაყვირის, კარლენ სარქისიანის უმშვენიერესი იმპროვიზაცია, მოულოდნელად ქცეული კომპოზიციად. (1960-იან წლებში გია ყანჩელის მიერ კონკურსისთვის შექმნილი კომპოზიცია "ყარაჩოღელის ანდერძი" 90-იან წლებში საფუძვლად დაედო მისივე სიმფონიურ ნაწარმოებს "À LA DUDUKI")

2. **არაჩვეულებრივი გამოფენა** — უჩვეულო ამბები ხდება არაჩვეულებრივ გამოფენაზე — თითქოს ერთიანდებიან გახლეჩილი სამყაროები. ისე, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს მაესტროს გამჭვირვალე, საგამოფენო არაჩვეულებრივ მელოდიას, დიდი გიტარის რაინდის დრაივულ ჰანგს და მარადიული მიწის ჯანსულოს? არც არაფერი… თუმცა, ვინ იცის… (თემა ფილმიდან "არაჩვეულებრივი გამოფენა", ელდარ შენგელაია და რევაზ გაბრიაძე, 1969. "Little Shoes" მაიკ სტერნი)

3. **მეთორმეტე ღამე** — "თუ მუსიკა სიყვარულის საზრდოა, დაუკარით!" (თემა სპექტაკლიდან "მეთორმეტე ღამე", უილიამ შექსპირი, რეჟისორი რობერტ სტურუა, 2002)

4. **საბრალდებო დასკვნა** — გარდაუვალი ვერდიქტის მოლოდინში ერთადერთი კითხვა იბადება: "რატომ?" (ძირითადი თემა სპექტაკლიდან "საბრალდებო დასკვნა", არტურ მილერი, რეჟისორი რობერტ სტურუა, 1965)

5. **პირველი როლი, თუ ძველი საათი?** — დიდი ხნის მივიწყებული და შემთხვევით თავიდან აღმოჩენილი, მამის ნაჩუქარი საათი გვახსენებს რაღაც ყველაზე მნიშვნელოვანს; ხოლო ოდესმე ის ყველაზე მოულოდნელი გზით გვიხსნის განსაცდელისგან. (მთავარი თემა სპექტაკლიდან "როლი დამწყები მსახიობისთვის", თამაზ ჭილაძე, რეჟისორი რობერტ სტურუა, 1979)

6. **ის აქ არის (შერეკილების ვალსი)** — ისე, ხომ გითხარი გაფრინდებიანთქო… ოჰ, ეს სიყვარული! ის ხომ ვერტიკალურია და თან ბრუნვადი! თუმცა, ჯერ ის დამჭკნარი ყვავილი დაეცემა საფლავზე… ეჰ, თამუნია, თამუნია!… (თემა ფილმიდან "შერეკილები", ელდარ შენგელაია და რევაზ გაბრიაძე, 1973)

7. **გიმნაზისტის ფიცი** — რას შეიძლება შეჰპირდეს გიმნაზისტი თავის გიმნაზისტკას პატარა [illegible] ის მარადიული ბლუზი კი გაგრძელდება [illegible] ყოველთვის სხვადასხვანაირად დამთავრდება. (ქალაქური მოტივი ფილმიდან "არ დაიდარდო", გიორგი დანელია და რევაზ გაბრიაძე, 1968 / "All Blues" მაილს დევისი)

8. **იბერია** — არსებობს ჩუმი ხმა, რომელიც ყველა სხვა ბგერას განსჭვალავს, თვით თავისუფლების დღესასწაულის ჰანგს — ეს არის სამშობლოს ხმა. (თემა ფილმიდან "მშობლიურო ჩემო მიწავ", რეჟისორი რეზო ჩხეიძე, 1979 / "Concierto de Aranjuez" — ხოაკინ როდრიგო / "Spain" — ჩიკ კორეა)

9. **რაჯ კაპურის ხაჭაპური** — ოდეს ინდოელი გენერალი კავკასიის გავლით მგზავრობისას ქართულ სიმღერას ხაჭაპურზე მიირთმევდა… (თემა ფილმიდან "არ დაიდარდო", გიორგი დანელია და რევაზ გაბრიაძე, 1969 / რანდირ რაჯ კაპურ)

10. **ხანუმ-ჯან (მარადიული დიალოგი)** — მართლაც რა ლამაზი ხარ, ხანუმ-ჯან! მუდმივი ფლირტის, მუდმივი გულის დაპყრობის თემა. როგორი რთულია იპოვო შენი პრინცესა ცხოვრებაში, მით უმეტეს, თუ ის იქ არ არის… (თემა სპექტაკლიდან "ხანუმა", ავქსენტი ცაგარელი, რეჟისორი რობერტ სტურუა, 1968)

11. **შეხვედრა მიტინგზე (G.K. vs. J.McL.)** — როდესაც ბრძოლის ველზე ორი ნამდვილი ოსტატი ხვდება ერთმანეთს, არ არსებობს დამარცხებული! ჩვენს შემთხვევაში კი გაიმარჯვა მუსიკამ. (თემა სპექტაკლიდან "კავკასიური ცარცის წრე", ბერტოლდ ბრეხტი, რეჟისორი რობერტ სტურუა, 1975 / "The Inner Mounting Flame", ალბომი, 1971 — ჯონ მაკლაფლინის მაჰავიშნუ ორკესტრი)